ტყიბულის მუნიციპალიტეტის **მერის**

ბრძანება

N 47 1716
17/10/2018

1716-47-4-201810171112

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების განმეორებით, პირობებიან ელექტრონულ აუქციონზე პრივატიზების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54- ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტისა და „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის, 118-ემუხლის პირველი ნაწილის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დაგენილების მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. განმეორებით, პირობებიან ელექტრონულ აუქციონზე განხორციელდეს ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი და მოძრავი ქონების პრივატიზება:
   - ავტომანქანა ვაზ 21214 სახელმწიფო ნომერი RVR 474, გამოშვების წელი 2005, ქონების ღირებულება 2000 ლარი;
   - ავტომანქანა ვაზ 21214 სახელმწიფო ნომერი SAN 644, გამოშვების წელი 2005, ქონების ღირებულება 1700 ლარი;
   - ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ მანჭიორში განთავსებული 102 მ^2 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა ნაგებობა (ფართი 112,40 მ^2), ს/კ 39.03.35.001, ქონების ღირებულება 15 000 ლარი;
2. ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურმა უზრუნველყოს მოძრავი და უძრავი ქონების პრივატიზება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
3. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.
4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქუჩა N11) ბრძანების გამოქვეყნებიდან ან მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.
5. ბრძანება ძალაში შევიდეს მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე ან გამოქვეყნების დღეს.

თემურ ჩუბინიძე

მუნიციპალიტეტის მერი